ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური

დ. ხარაგაული, 9 აპრილის 15 ტ.: 2 15 40; 8 77 95 75 30

N4 „ 24 “ იანვარი 2013 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის # 34

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის # 34 განკარგულებაში მომხდარი ცვლილების გამო აღნიშნული განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 2,4 ათასი ლარი გარე განათების მოსაწყობი საპროექტო სამუშაოების შესასყიდად. საქართველოს მთავრობის # 35 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გასული 2013 წელში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ( საქ. მთ. 2013 წლის # 311 განკარგულების საფუძველზე ) გამოეყო 413,1 ათასი ლარი, მ. შ. ქუჩების მოასფალტებაზე , სპორტული კომპლექსისათვის სპორტული ინვენტარის შესაძენად, ბაღების რეაბილიტაციასა და საბავშვო ბაღებისათვის ინვენტარის შესაძენად.

ასევე 2014 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთიდან საჭიროა გამოყოფილი იქნას 45,8 ათასი ლარი და მიმართული იქნას:

- 2,9 ათასი ლარი დასუფთავებისათვის თოვლმწმენდის შესაძენად.
- 15,8 ათასი ლარი სოფ. წიფაში ამბულატორიის მშენებლობისათვის;
- 2,1 ათასი ლარი საკრებულოს ხარჯებში, მ.შ. 0,5 კომპიტერული ტექნიკის შესაძენად და 1,6 ათასი ლარი კომპიუტერების შესაძენად;
- 6,5 ათასი ლარი გამგეობის ხარჯებში მ. შ. კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად 1,0 ათასი ლარი, კომპიუტერების შესაძენად 1,6 ათასი ლარი და 3,9 ათასი ლარი ტრანსპორტის რემონტის ხარჯებში.
- 0,9 ათასი ლარი გზების მოვლა–შეანახვის ხარჯებში საწვავის შესაძენად;
- 8,8 ათასი ლარი კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე.

- 8,8 ათასი ლარი სახანძრო–სამაშველო სამსახურის ხარჯებში სახანძრო ინვენტარისა და კომპიუტერების შესაძენად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე იზრდება 415,5 ათასი ლარით და ხარჯების ნაწილში 461,3 ათასი ლარით, ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებულია სპეციალური ტრანსფერი 415,5 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 45,8 ათასი ლარი. სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 7626,5 ათასი ლარით.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი